



შირაკი

SHIRAKI

www.opentext.ge

გამოცემის 1937 წლიდან

№42 (9.558)

9 ნოემბერი 2012 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ჩამოსხმენით პლაკატები! კედლო, ნუთუ შენი ხვედრია აქდენ სისულელეს გაუძლო?

შინ უნდა ირჩევდეს სახალსო დამცველს?



კედლებზე ჯღაბნის მავნე ჩვეულება ახალი არ არის. ადამიანები კედლებზე ყველა დროში აკეთებდნენ ნახატებსა თუ იეროგლიფებს, მაშინაც კი როცა "კედელი" არ არსებობდა და მის მაგივრობას გამოქვაბულის კლდე სწევდა. საუკუნეების მანძილზე მინის სქელი ფენის ქვეშ მოქცეული უძველესი ქალაქები, სახლები და მასთან ერთად კედლები და ზედ გაკეთებული ნარჩენები თანამედროვე არქეოლოგებმა გათხარეს. სახლის სახურავები ხისგან კეთდებოდა და როგორც წესი, შემორჩენილი არ არის. აი, კედლები კი ბევრ ადგილას მშვენივრად შემონახული, ისეთ მდგომარეობაშიც კი, რომ სათანადო დამუშავებისა და განმუხტვის შემდეგ სპეციალისტებმა ზედ გაკეთებული ნარჩენების ნაკითხვაც კი შეძლეს. ნარჩენები, ბუნებრივია, იმ ხალხმა გააკეთა, ვინც იმ სახლებში და ქალაქებში ცხოვრობდა.

ეს კედლებზე ამოკანონული ან საღებავით მიხატული ნარჩენები სხვადასხვა სფეროს მოიცავს, სარეკლამო განცხადებებით დაწყებული და კლასიკური სასიყვარულო ფრაზით დამთავრებული. მაგალითად პომპეის ერთ - ერთი სახლის კედლებზე ასეთი განცხადებაა - დახლიდან დაიკარგა ბრინჯაოს ვაზა. ვინც დააბრუნებს მიიღებს 65 სესტერცს. თუ ქურდს დაასახლებს, ისე რომ ვაზა დავიბრუნო, - 20 სესტერცს.

განსაკუთრებით საინტერესოა იმდროინდელი საარჩევნო თემატიკის ნარჩენები. ნუ გაგიკვირდებათ - ეს ნარჩენები ანტიკური ქალაქების ათენის და პომპეის გათხრებისას აღმოაჩინეს, დემოკრატია და არჩევნები კი სწორედ ძველი ბერძენების მოგონილია.

- ვირჩევთ კორნელიუსს, - აი მაშინდელი ნარჩენი. ვერაფერს დაუწუნებ და ვერც იფიქრებ, რომ ეს ძველბერძნული ნარჩენი ოცდახუთ საუკუნეზე მეტი ხნის წინაა დაწერილი და, სავარაუდოდ, მოქალაქეებს ადგილობრივ არჩევნებში ერთ - ერთი კანდიდატის მხარდაჭერისკენ მოუწოდებს. ნარჩენები მრავალფეროვანია და ხშირად ძალზე ხისტიც - კრასუსს ედილად ირჩევენ ბრიყვები! ასეთიც გვხვდება - ფაბიუსი ვირისთავია...

ეს ჩვენ არ უნდა გაგვიკვირდეს. როგორც თანამედროვე ოფიციალური იტყვის ხოლმე - "საარჩევნო ბატალიებს ხშირად დამაბულობა ახლავს თან". ანდა, რა ბედენაა სიტყვა "ვირისთავი" იმ სიბინძურესთან შედარებით, რაც სულ ახლახანს ვიხილეთ და მოვისმინეთ ჩვენს არჩევნებზე, რომელსაც სახელად ეწოდა - წინაგა-

დადგმული ნაბიჯი. წინაგადადგმული - იმიტომ, რომ კვლავ ერთმანეთი არ დაეზოცეთ და პარლამენტში არ შეეცვივდით, თორემ გინება და ბინძური კამპანია რა სათქმელია.

ანტიკური ქალაქების კედლებზე ნაპოვნი საარჩევნო მონოდეტები პროფესიული ფგუფების მიმართ. მაგალითად, ასეთი,

- პარიკმახერებო: ედილად ავირჩიოთ იულიუს ტრებიუსი.

იგივე თემატიკის ნარჩენი - ვინც მინას ამუშავებს, ყველამ უნდა ავირჩიოთ გაიუს კუსპია პანსა.

აბა ახლა თანამედროვე ქართული საარჩევნო სლოგანებიც გაიხსენეთ:

- ბრძოლა დღესვე! ქართველო ხელი ხმაღს იკარ!

-ხმა მიეცით გამარჯვებულს!

-მდიდარს ვართმევთ, ღარიბს ვაძლევთ!

და ბოლოს მთავარი "მარგალიტი", ყოფილი მმართველი გუნდის საარჩევნო დაპირებები:

- ავარიული სახლები.

დავინყვებიათ, რომ მიენერათ შევაკეთებთ, ან ალვადგენთო და პირდაპირ ჩანერეს, ავარიული სახლები.

ოცი საუკუნის შემდეგ ამ ნარჩენებს რომ ვინმე წააწყდეს, ნეტავ როგორ უნდა მიხვდეს რომ არჩევნებზეა ლაპარაკი და არა, დაფუფათა, ომზე. და საერთოდაც, დროა, და სხვათა შორის კანონიც ავაღებულვებთ, რომ პარტიებმა თავიანთი საარჩევნო პლაკატებისა და მათი ნარჩენებისაგან გაასუფთაონ ჩვენი ქალაქები და სოფლები, ბოძები, ხეები, აბრები და ჩვენი სახლების კედლები.

ნიმანდობლივია, რომ ვიღაც მაღლიანს (ოცდაშვიდი საუკუნის წინ!) ანტიკური ათენის ერთ - ერთ უხვად ნაჯღაბნ კედელზე სულ ბოლოში წაუწერია:

- გამეკვირვება კედლო, ნუთუ შენი ხვედრია აქდენ სისულელეს გაუძლო და არ ჩამოიშალო.

მიხაილ გლუბრიშვილი

ინგა შიოლაშვილი

შეწვევტილი დახმარება

გვ. 4

ჟურნალისტთა კლუბი პირველ სკოლაში

გვ. 5

ჩემთან უკვე ჩემი ნამოწაფრების შვილებიც სწავლობენ

გვ. 6

ყველაზე სანდო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლანების შესახებ!

- ახალი ინფორმაცია
- საპარტოლაბრივი აქტუა
- აუქსიონი
- ტანდარი - ყველაფერი მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვაგან ვერ ნაიპოთხავთ!

www.dedoplistskaro.ge

საბილოტე პროექტების ფარგლებში გამოცდილების გაზიარების ტურნე გრძელდება სადემონსტრაციო დღე სოფელ უდაბნოში

26 ოქტომბერს საგარე-ჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ უდაბნოში, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული, „CENN“-ის რეგიონული პროექტის - „მინის რესურსების მდგრადი მართვა ნიადაგის დეგრადაციის შემცირებისა და სიღარიბის დაძლევისათვის სამხრეთ კავკასიის რეგიონში“ - საბილოტე პროექტის - „მდგრადი სოფლის მეურნეობის განვითარების პრაქტიკის ხელშეწყობა“- ფარგლებში, ჩატარდა პროექტის სადემონსტრაციო შეხვედრა გამოცდილების გაზიარების მიზნით. შეხვედრას ესწრებოდნენ: 15 კაციანი ჯგუფი ბოლნისი-მარნეული-დმანისიდან, 8 კაციანი ჯგუფი - წნორიდან და 6 კაციანი ჯგუფი - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ფიროსმანიდან, 10 ადგილობრივი ფერმერი, პროექტის განმახორციელებელი

ორგანიზაციის, რძის მწარმოებელთა ეროვნული ასოციაციის” წარმომადგენლები ლევან კობახიძე და გიორგი ხატიაშვილი ორ ამერიკელ სტუმართან ერთად, ასოციაციის რეგიონული კოორდინატორი გიორგი ბერაია, ექსპერტი კობა კობალაძე და პროექტის რეგიონული კოორდინატორი ანა ბენაშვილი.

პროექტის ექსპერტმა კობა კობალაძემ ისაუბრა უდაბნოს პირობებში ესპარცეტის კულტურის სიკეთესა და უპირატესობაზე, ესპარცეტი მრავალწლიანი კულტურაა და მისგან საუკეთესო ხარისხის, მაღალი კვებითი ღირებულების თივა მზადდება. ითიბება რამდენჯერმე. ყვავილობისას კი ჰექტარზე 100 კილოგრამ თაფლს იძლევა. ნიადაგს ამდიდრებს ჟანგბადით და კარგი წინამორბედაა ხორბლისთვის. ეს კულტურა სრულად შეესა-

ბამება უდაბნოს ნიადაგს და ცხელ კლიმატს. შემდეგ, ბატონმა კობამ ჩაატარა ტრენინგი სხვადასხვა თემატიკაზე, კერძოდ: „მოუხნავად თესვა“, „ფერტიგაცია“, „რეკომენდაციები მულჩირების შესახებ“, „რეკომენდაციები ნერგებისა და სათესლე მასალის წარმოებაში პოზიტიური და ნეგატიური სელექციის გამოყენების შესახებ“, კობა კობალაძემ და გიორგი ხატიაშვილმა უპასუხეს ფერმერთა შეკითხვებს. მონაწილეებს დაურიგდათ სატრენინგო მასალები.

შეხვედრის მონაწილეებმა ვანო ლუხუტაშვილის ნაკვეთში დაათვალიერეს ესპარცეტის ნათესი და დამონტაჟებული ელექტრომწყმის მონწყობილობა, რომელიც ნაკვეთს იცავს საქონლისგან, ეს კი ელექტრომწყმის სადენებში გამავალი დაბალი სიმძლავრის (7-9 კილოვატი) ელ-ენერჯის დამსახურებაა, რომელიც შეხებისას ცხოველს დენს არტყამს და მიახლოების საშუალებას არ აძლევს. მონწყობილობა მზის ენერჯიაზე მუშაობს და ეკონომიურად მომგებიანია. საგულისხმოა, რომ პროექტით გათვალისწინებული 2 ჰექტრის ნაცვლად, შემოიღობა 5 ჰექტარი, 3 ჰექტარი საკუთარი ხარჯებით დაამუშავა და დათესა ადგილობრივმა ფერმერმა, რომელმაც თავიდანვე გამოხატა პროექტის მხარდაჭერა და ესპარცეტი თავისი ხარჯებით შეიძინა. თამამად შეიძლება ითქვას,



რომ პროექტით განხორციელებულ საქმიანობას მიმდევრები თავიდანვე გამოუჩნდნენ. პროექტის პრიორიტეტი ადგილობრივების პრიორიტეტს, აშკარად დაემთხვა. პროექტმა დიდი მოწონება და ინტერესი დაიმსახურა.

საპრეზენტაციო შეხვედრაში მონაწილეობდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის სპეციალისტი ვალერი გოგილაშვილი.

ანა ბენაშვილი

ვინ არიან პოლიციის სამმართველოების ახალი უფროსები რეგიონებში

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ბოლო დღეების განმავლობაში განხორციელებული საკადრო ცვლილებების შესახებ ინფორმაცია გაავრცელა.

შსს—ს ცნობით, კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსად დაინიშნა ალექსანდრე ჭიკაიძე; გურჯაანის პოლიციის უფროსად ლევან გენგაშვილი; დედოფლისწყაროს პოლიციის უფროსად ივანე ზურაბაშვილი; თელავის პოლიციის უფროსად გიორგი ლარიბაშვილი; ლაგოდეხის პოლიციის უფროსად გიორგი კლიმაშვილი; სიღნაღის პოლიციის უფროსად ჯონი ჯოხარიძე; ყვარელში შალვა კვიციანი.

მცხეთა — მთიანეთის სამხარეო მთავარი სამმართვე-

ლოს უფროსად დაინიშნა მიხეილ ხორგუაშვილი; ახალგორის პოლიციის უფროსად ზურაბ ჩიტაშვილი; დუშეთში ზაზა კაკაია; თიანეთში — მინდია შეთევასური; მცხეთაში — გიორგი ბუთხუზი; ყაზბეგში — ბაკურ ავსაჯანიშვილი.

იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსად დაინიშნა ზურაბ გამეზარდაშვილი; ლენტეხის პოლიციის უფროსად მაიზურ ბაბლუანი; ონში ვიქტორ მეტრეველი; საჩხერეში რევაზ კობახიძე; ქუთაისის საქალაქო სამმართველოს უფროსად თემურ ჩუბინიძე; ჭიათურაში გიორგი ნეფარიძე; ქუთაისში გიორგი მდინარაძე;

სამეგრელოსა და ზემო სვა-

ნეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსად დაინიშნა ნიკოლოზ ბუხურაული; ზუგდიდის პოლიციის უფროსად კობა ხარებავა; მარტვილში დავით გვაძაბია; მესტიაში — ილია გერლიანი; სენაკში გიორგი ხუფაცარია; ჩხორონყუში გუმბერ იზორია; ხობში დავით დარასელია;

სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსად დაინიშნა ვახტანგ ტალახაძე; ადიგენის პოლიციის უფროსად გელა კოხოძე; ახალციხეში — ივანე ბერუაშვილი; ბორჯომში — პანტელეიმონ გვალია;

ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსად დაინიშნა გელა ბედოიძე; ბოლნისის პოლიციის

უფროსად მამუკა რეხვიამვილი; გარდაბანში დათო ქოიავა; დმანისში — გელა ქურდაძე; თეთრიწყაროში — ჯემალ ჩარექაშვილი; მარნეულში — ტარიელ მაისურაძე; რუსთაველი — იოსებ სიგუა; ნალკაში — სოსო ენდელაძე;

შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსად დაინიშნა გიორგი დვალისხელი; კასპის პოლიციის უფროსად ვალერი ქალდანი; ქურთაში კახაბერ გაბოძე;

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორად დაინიშნა დავით ცინარიძე; საქართველოში ინტერპოლის ეროვნული ცენტრალურის ბიუროს უფროსად ალექსანდრე არაყიშვილი; სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის

დირექტორად გია კობახიშვილი; მომსახურების სააგენტოს დირექტორად თეიმურაზ კორძია; თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსად მიხეილ ჩიკვაიძე; გლდანის ნაძალადევის სამმართველოს უფროსად გიორგი ტურიაშვილი; დიდუბე — ჩულურეთში — ირაკლი ქავთარაძე; ძველ თბილისში — ლაშა შალაშვილი; კონტრტერორისტული ცენტრის დირექტორად დაინიშნა ირაკლი ჩიმაკაძე; კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორად დავით ბედიანი; ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტის დირექტორად ავთანდილ თაბუნიძე; საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის დირექტორად ზვიად ქანაშვილი.

შეწყვეტილი დახმარება

მარტოხელა პენსიონერი 72 წლის ზაირა ჩოხელი, რომელიც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არხილოსკალოში ცხოვრობს, დედოფლისწყაროს სოციალური მომსახურების სააგენტოში იმის გარკვევას ეცადა, რატომ დატოვეს აგენტებმა საარსებო შემწეობის გარეშე ჩოხელის განმარტებით, სოციალური დახმარება ორი წლის წინ შეწყვეტიეს.

რამდენიმე დღის წინ ზაირა ჩოხელი ვითარების გარკვევას თავდაპირველად სააგენტოს ყოფილ ხელმძღვანელთან ზურა ნატროშვილთან შეეცადა. თუმცა, ნატროშვილმა მოხუცს განუმარტა, რომ იანვრიდან აღარ მუშაობს და მას მხოლოდ პენსიის საკითხები ევალება.

მოხუცმა ზურაშვილს.

„ჩემი მხრივ რაც შემძლია გითხრა, ჩათვალეთ, რომ პირადადაც გეახლებით, შევისწავლით სიტუაციას და ყველანიარად კონტროლზე ავიყვან, რაც კანონით გათვალისწინებული არის... ნუ ინერვიულებთ, ეს პრობლემა მოიხსნება. თუ დამიჯერებთ, ყველანიარად ვეცდებით“ — აღნიშნა ზურაშვილმა.



მაგლობაში მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაცილებით გაუარესდა, ვიდრე მამინ, როცა ფულად შემწეობას ყოველთვიურად იღებდა. საბოლოო ჯამში მისი საყოფაცხოვრებო პირობები და ფიზიკური შესაძლებლობები კიდევ უფრო დაქვეითდა. ამ ფონზე ზაირა ჩოხელისთვის გაუგებარია, რამ გამოიწვია ქულების მატება და საარსებო შემწეობის შეწყვეტა.

ილია მარტყოფლივი

ამ ორი წლის განმავლობაში არხილოსკალოში მცხოვრები მოხუცი ქალბატონი ამოდ ცდილობს გაარკვიოს, რა გახდა სოციალური დახმარების შეწყვეტის მიზეზი. თუმცა, როგორც მარტოხელა ქალბატონი ყვება, სოციალური მომსახურების სააგენტოს ადგილობრივი თანამშრომლები მას გასაგებ ენაზე არგუმენტირებულ პასუხს ვერ აძლევენ.



მოგვიანებით, დედოფლისწყაროს სოციალური სააგენტოს ახლადდანიშნულმა ხელმძღვანელმა ზურაშვილმა ზაირა ჩოხელი სამუშაო კაბინეტში პირადად მიიღო, ატირებული მოხუცის დამშვიდება სცადა, საკითხის შესწავლას და პირად კონტროლზე აყვანას დაჰპირდა.

„გააყალბეს აგენტებმა და იმითმე მინცა. როდესაც საბუთებს ვაგებდით, იქ არაფერი ჩაგვინერია და არ ვიცო, აქ ისეთი რა ჩამატეთ, რომ დახმარება შემინცა... რა მოხდება, ერთხელ ჩამოდით ჩემთან და ნახეთ. ბენზინს მე ჩაგასავთ, ერთხელ ჩემს სოფელში ჩამოდით პირადად და ნახეთ რა პირობებში ვცხოვრობ, — მიმართა მარტოხელა

„ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს“ ... ილია ჭავჭავაძისა და თერგდალეულთა მამულიშვილთა შრომთა ეროვნული მეოზის გადასარჩენად

8 ნოემბერს აღინიშნა საქართველოს უვიკრიგინო მეფის ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 175 წლისთავი. ილია ჭავჭავაძე 1837 წელს ყვარელში დაიბადა. 1907 წლის 30 აგვისტოს ის წინამორბედი მოკლეს. მწერალი მთაწმინდაზე დაკრძალულია. 1987 წელს საქართველოს მართლმადიდებლურმა ეკლესიამ ილია ჭავჭავაძე წმინდანად შერაცხა, სახელით წმინდა ილია მართალი.

ეროვნულ-პატრიოტული მოძღვრება, რომელიც ყოველთვის გადაარჩენს საქართველოს შესაძლო კატაკლიზმებისაგან, თუკი ქართველი ერთი ამ მოძღვრებით იმოქმედებს.

იქნება ნამდვილი საქებარი მამულის მოყვარე და არა ის, ვინც მეტის-მეტად დამაყვებელი სიყვარულისა გამო ანგელოზივით ასახელებს საქართველოსა. ბოროტების აღიარება ნახევარი გასწორებია...

ვილი დიდაქტიკოსი(ც, სოციოლოგიც და კრიტიკული აზროვნების ბრწყინვალე ოსტატიც, უბადლო ჟურნალისტი, ღრმად მოაზროვნე პოლიტიკოსი და დიდი სახელმწიფო მოღვაწე — ზუსტად ისეთი, როგორიც იმ დროს წყაღნაღებულ საქართველოს სჭირდებოდა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ დავით აღმაშენებლის შემდეგ საქართველოს არ ჰყოლია იმაზე უფრო დიდი და მრავალმხრივი ეროვნული მოღვაწე, როგორიც იყო ილია ჭავჭავაძე. დავით აღმაშენებელი ისეთ დროს მოვედინა საქართველოს, როცა იგი თურქ-სელჩუკთაგან სრული წაღვევის საფრთხის წინაშე იდგა. მან თავისი ტიტანური ენერჯითა და გენიოსურად წარმართული პოლიტიკით, არათუ იხსნა საქართველო, არამედ ძლიერების არნახულ მწვერვალზეც აიყვანა — მისი საზღვრები ნიკოფსიდან დარუბანდამდე გასწავდა. დავითის მიერ საძირკველწყაროლმა საქართველომ ერთი საუკუნე იარა თავისუფლებისა და დიდების გზით. თვით თამარის ოქროს საუკუნეს მან მისცა დასაბამი.

დღეს უკვე აღიარებულია, რომ 1089 წელს საქართველოს რომ არ მოვლენოდა დავით აღმაშენებელი, მისი შთანთქმა თურქ-სელჩუკთაგან გარდაუვალი იყო. იგივე ითქმის რუსთა ბატონობის ქვეშ მყოფ საქართველოზე — მე-19 საუკუნის 60-იან წლებში, საქართველოს რომ არ მოვლენოდა ილია ჭავჭავაძე მთელი თავისი თერგდალეულთა დასით, საქართველოს შთანთქმა რუსთაგან გარდაუვალი იქნებოდა. თუ რამდენად რეალური იყო საქართველოს გათქვევრა რუსულ უკიდევანო მორევში და ხუთიათასწლოვანი ერის სრული აღგვა მიწისაგან პირისა, — თუ რამდენად დაკარგული ჰქონდა უკვე ქართველი ეროვნულპატრიოტული გრძობა და მხოლოდ ხორციელი არსებობა მიაჩნდა მას სიცოცხლის მიზნად, ამ დასს რომ არ შეენჯღრია თავით-ფეხებამდე მიძინებულ-მიმკვდარუნებელი ერთი, მოვუსმინოთ თვით ილიას:

ჩვენი ეროვნული და ზნეობრივი დაცემის საილუსტრაციოდ კიდევ უფრო საგულისხმოა ილიას „დენიერი ერი“. ამ ლექსში მის მიერ არაჩვეულებრივ რეალობითაა დახატული ქართველი ერთი მთელი თავისი მანკიერებით, რაც ილიამ წარმოაჩინა ქართველი ხალხის ჭკუის სასწავლებლად.

აი, როგორ ფაქტებს გვაუწყებს 1928 წელს გამოცემული ერთი უაღრესად საინტერესო ნიგნის ავტორი გრ. გიორგაძე, რომლის სათაურია „საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში 1864-1905 წლებში“. „1899 წელს ქუთაისის გუბერნატორი შუამდგომლობს ხელმწიფის წინაშე, რომ მას საჭიროდ მიაჩნია დაუნაწიროს თავდაზნაურების შეილებს სტიპენდიები კადეტის კორპუსებში და არავითარ შემთხვევაში სამოქალაქო გიმნაზიებში; კადეტის კორპუსებში აღზრდა ხელს შეუწყობს ადგილობრივ მცხოვრებლების გათქვევას რუსულ მოსახლეობაში“. ამის გამო „საქართველოში ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ ინტელიგენციამ თავის სამშობლო ენა არ იცოდა, თავის წარსულის, ისტორიის უვიცი იყო. თავდაზნაურობის ყრილობებზე, ბანკის კრებებზე, საერთოდ, ყოველგვარ ყრილობაზე მოქალაქეობა მოპოვებული ჰქონდა რუსულ ენას, რუსულად სწარმოებდა სჯა და ბაასი. ქართველი ინტელიგენტები ბოდიშს იხდიდნენ კრებებზე — ქართული არ გვეჩერებდა, რუსულად უნდა ვილაპარაკოთო. საერთოდ, მაღალ სფეროებში სამარცხინო, ცუდი ტონის ნიშანი იყო ქართულ ენაზე ბაასი და მსჯელობა“.

1801 წლიდან საქართველო რუსული ჩექმის ქვეშ მოექცა და ერთმორწმუნე ქვეყანამ უკვე მიზნად დაიასხა ქართული მიწიდან ქართული გენის აღმოფხვრა და მისი რუსად გადაგვარება.

„დრო მე-40 და 50 წელთა იყო, დრო ჩვენის გონებრივისა და ეროვნულის მიძინებისა, მოქანცულობისა. მწერლობაც ამგვარის მიძინარებულის ხასიათისა გახლდათ... მაშინ რომ ქართველისათვის გვეითხათ, რას ფიქრობთ, რა გსურთო, სიცოცხლეზედ ვფიქრობთ, სიცოცხლე გვინდაო, გიპასუხებდნენ, — მაგის გარდა კიდევად? — კიდევ სიცოცხლე გვინდაო, გეტყოდნენ. — რას ეძახით სიცოცხლეს, როგორ თუ სიცოცხლე? — ისეო, გეტყოდნენ, რომ გავლა-გამოვლა შეგვეძლოს, სუნთქვაო, ცით და მთვარით დატკობა, მზის ცქერაო და ჩვენის ჭიის გახარებაო...“

კრიტიკოს აკაკი ბაქრაძის შესანიშნავი გამოთქმით „ზნეობრივობას მუდმივი და უწყვეტელი კავშირი აქვს თავისუფლებასთან. ილიას აღწერილი სურათიც ამ კავშირის დაძლევის ნაყოფია“.

1885 წელს კავკასიის საცენზურო კომიტეტს განუხილავს ნიგნი „საქართველოს მოკლე გეოგრაფია“, რომელიც თავისებურად შეუსწორებია. სიტყვა „საქართველო“, სადაც კი ნახმარია, ყველგან ამოშლილია და მის მაგიერ წაწერილია „ტფილისის და ქუთაისის გუბერნია“. მთავრობისათვის მიუღებელი იყო სიტყვა „საქართველოს“ ხმარება სახელმძღვანელოში, რადგან მისი პოლიტიკით, ახალგაზრდობას, ახალთაობას უნდა დაევიწყებოდა სიტყვა „საქართველო“, რომელიც საქართველოს სახელმწიფოებრივი არსებობის მომავლენიერი იყო, და მის მაგიერ უნდა შეეთვისებია, რომ არსებობს არა საქართველო, არამედ რუსეთის იმპერიის ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიები.

და აი, გარუსების ამ უდიდესი საფრთხის ჟამს, სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდის თერგდალეულთა სახელოვანი დასი ილიას მეთაურობით, რომელმაც არა მარტო გადაარჩინა ქართველი ერთი რუსიფიკაციის საფრთხეს, არამედ მათვე ჩამოაყალიბეს თავიანთი სამწერლობო შემოქმედებებში მეცნიერულ, პედაგოგიურ და მალაზნეობრივ პრინციპებზე, საკაცობრიო იდეალებთან შეთანხმებული — მრავალეროვნული და მრავალენოვონული

ყველაზე სამწუხარო კი, აი რაა ილიას სიტყვითა:

ერს აარსებებს პატრიოტიზმი, სამშობლო-სადმი უანგარო სიყვარული. პატრიოტიზმი კი პატრიოსნებისა და ზნეობრივობის უმაღლესი გამოვლინებაა. სამშობლოს პატრიოტი ვერასოდეს ვერ იქნება — ქურდი, უქმი, მექრთამე, მეძავი, მაფიოზი და კოსმოპოლიტი. ასეთ ხალხს სამშობლო არ გააჩნია. მათი სამშობლო იქაა, სადაც ფულს იმოვნინა, კარიერას გაიკეთებენ და ხორციელ სიამოვნებას მიიღებენ. ხოლო, როცა ერთი მანკიერების ასეთი ჭაობი ჩაიძირება, იგი სასიკვდილოდა განწირულია. აი, ასეთი მანკიერი და სიკვდილზე შეგებებული („ფურთხის ღირსი“) საქართველო ჩაიბარა ილიამ მე-19 საუკუნის 60-იან წლებში.

ერთი სიტყვით, სკოლაში და საზოგადოებაში ყველაფერი მიმართული იყო იქით, რომ ქართველ ხალხს დაევიწყა საქართველოს არსებობა, დაევიწყა თავისი ისტორია, (გაგრძელება გვ.)

„და მესა შენსა დღეს არც კი სწამს შენი აღდგენა, განწირულების შთასდგომისა მას გულში წელსული, მას დაჰკარგვია ტანჯვით შირის შენდამი რწმენა და დაუგდისწარ, ვით ტამარი გაუქმებულა“.

ილია თავის პუბლიცისტურ წერილებშიც დიდ როლს ანიჭებდა წინაპართა შეცდომების მხილვას. იგი წერდა: ისტორია იმითაა დიდი, რომ გვიჩვენებს ჩვენ წინაპართა ცთომილებას, მასთანვე გვახსნავს ქვეყას, როგორ უნდა მოვიქცეთ... თუ წინასწარ და გამარჯვება გვინდა, ნაკლისა და ხარვეზის მხილვას არ უნდა მოვერიდოთ... ნეტავი ორიოდე კაცი იყოს საქართველოში, რომ ჩვენი ბოროტება ერთიანად ასწეროს და დაგვანახოს... აბა, ის

ჟურნალისტიკა კლუბი პირველ სკოლაში

ქალაქ დედოფლისწყაროს პირველ საჯარო სკოლაში ჟურნალისტიკა კლუბის შესარჩევი კონკურსი 6 ნოემბერს გაიმართა. როგორც პროექტის ხელმძღვანელმა ქეთი ჩაფიაშვილმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, ჟურნალისტიკა კლუბში განვერვიანების მსურველთა რიცხვი დიდია. მისი განმარტებით, მოსწავლეები ჟურნალის ნინაშე საკმაოდ მოზადებულნი წარსდგნენ.

ქალაქ. პირველ სამ გამარჯვებულ მოსწავლეთა შორის მოხვდნენ **თამარ ხუციშვილი** (X კლასი); **იოვანე ლომსაძე** (VIII კლასი) და **ნიკა შანშაშვილი** (Xბ კლასი). თამარ ხუციშვილმა ჟურნალის ნინაშე წარმოადგინა ესე თემაზე: „ქართველი ემიგრანტები“, ხოლო რამდენიმე-

იყო. კმაყოფილი ვარ პირველი ქასტინ-გით, მიღება კვლავაც გაგრძელდება. პირადად ვხედავდი, როგორი შემართებით ემზადებოდნენ მსურველები და შაბათ-კვირასაც კი დადიოდნენ სკოლაში. მთელი კვირის მანძილზე ამზადებდნენ ნამუშევარს, რომელიც ჟურნალის ნინაშე უნდა წარედგინათ. გვქონდა მცირე შენიშვნები, თუმცა ამკარაა, რომ მოტივაცია ნამდვილად ჩანს და მიხარია, რომ პასუხისმგებ-

სამინისტრომ დაგვიფინანსა ექვსი 200 ლარის ღირებულების პროექტი. გარდა ამისა, გამარჯვა და დაფინანსდა ქეთი ჩაფიაშვილის პროექტი სკოლის რადიოს დაარსების შესახებ. - განუცხადა „შირაქს“ მაია ლაპიაშვილმა.

იგეგმება ჟურნალისტიკა კლუბის წევრების მიერ მინი რეპორტაჟების გაკეთება და შიდა ეთერში გაშვება დასვენების დროს, ზარის ნაცვლად მუსიკალური

ჟურნალისტიკა კლუბი, რომელიც ამავე სკოლის მოსწავლეებით დაკომპლექტდება, უახლოეს დღეებში დაიწყებს ფუნქციონირებას. კლუბში განვერვიანების მსურველმა მოსწავლეებმა წარმოადგინეს მათ მიერ მომზადებული აუდიო და ვიდეო რეპორტაჟები და ესე.

ჟურნალისტიკის შემადგენლობაში იყვნენ: ფილოლოგი **ჯულიეტა პოპიაშვილი**, პირველი საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე **კახა კოტაშვილი**, ჟურნალისტიკის **ილია მარტყოფლიშვილი**, პროექტის ავტორი **ქეთი ჩაფიაშვილი** და სკოლის თვითმმართველობის პრეზიდენტი **გიგია იაკობიშვილი**.

პროექტის მიხედვით, ჟურნალისტიკა კლუბი სასკოლო რადიოს ამოქმედებას გეგმავს. ამისათვის სკოლას უკვე გააჩნია ტექნიკური ბაზა. ჟურნალისტიკა კლუბის წევრ მოსწავლეებს რადიოსადგურის ფუნქციონირებაში მხარდაჭერას ადგილობრივი მედიასაშუალებები გაუწევენ.

მოგვიანებით, რამდენიმე კონკურსანტმა ჟურნალისტიკის გაზეთ „შირაქს“ სხვადასხვა სტატია წაიკითხა. ჟურნალისტიკის დირექტორს, ნაკითხულ სტატიებში რამდენიმე მიმართულებები დაინახა მოსწავლემ და სწორად ჩანდა თუ არა კონკურსანტი ავტორის მიერ დასმულ აქცენტებს.

პირველი შესარჩევი კონკურსის შემდეგ სამი საუკეთესო კონკურსანტი უკვე შეირჩა, ისინი კლუბში მუშაობას წევრის სტატუსით შეუდგნენ. დანარჩენებს მასალების მომზადება და წარდგენა დაე-

თიანი ვიდეორეპორტაჟი დედოფლისწყაროს სამუსიკო სკოლის შესახებ.

იოვანე ლომსაძემ დაწერა ესე, სახელწოდებით: „რა არის ადამიანი“ და მოამზადა აუდიო-რეპორტაჟი თემაზე „გენდერული თანასწორობა“, რომელიც რამდენიმე დღის წინ №1 სკოლაში ამავე თემაზე გამართულ აქტივობებს და მონაწილეთა მოსაზრებებს ასახავდა.

ნიკა შანშაშვილმა კი წარადგინა ესე, თემაზე „ჯანსაღი ცხოვრების წესი“, ხოლო რეპორტაჟი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სემინარის თაობაზე.

ქასტინგის შემდეგ კომენტარი გააკეთა ჟურნალისტიკის **ილია მარტყოფლიშვილმა**:

„პირველ რიგში დიდი მადლობა მინდა გადავუხადო დედოფლისწყაროს პირველ საჯარო სკოლას და, მიუხედავად იმისა, რომ ამ სკოლის მოსწავლე არ ვყოფილვარ, ვთქვა, რომ აქტივობების გათვალისწინებით ის მართლაც პირველია ჩვენს რაიონში. ამასთან, დედოფლისწყაროში ჟურნალისტიკა კლუბი არასოდეს ყოფილა და ძალიან მოხარული ვარ, რომ ეს სწორედ ამ სკოლის ძალისხმევით მოხერხდა. მართლაც ნიჭიერი ბავშვები არიან, მათ საუკეთესო გარემო აქვთ, რომ ამ მეტად საინტერესო პროფესიაში საკუთარი ძალები მოსინჯონ. შესაძლოა, მათი დიდი ნაწილი ამ პროფესიას სულაც არ გაჰყევს, თუმცა დარწმუნებული ვარ, აქ მიღებული გამოცდილება მათ ბევრ რამეში წაადგებათ. მედია საქმე იმდენად მრავალფეროვანია, მოსწავლეს ბევრი დადებითი თვისება გამოუმუშავდება. მადლობა მათ, ვინც ეს პროექტი მოამზადა და მისი განხორციელებისთვის ძალებს არ იშურებს.“ — აღნიშნა ილია მარტყოფლიშვილმა.

„მიღება მეშვიდე კლასიდან გამოვაცხადეთ და ეს ჩვენი პირველი კონკურსი



ლობის დიდი გრძობა აქვთ,“ — აღნიშნა ქეთი ჩაფიაშვილმა.

„გამომდინარე იქიდან, რომ ამ კუთხით ჩვენი სკოლის მოსწავლეებს არანაირი გამოცდილება არ აქვთ, მათი ნამუშევარი მართლაც მომეჩონა... ვთვლი, რომ ეს პროექტი წარმატებული და პერსპექტიულია. ჩვენ განათლებას მხოლოდ ერთი კუთხით არ ვაძლევთ, ამ საქმით კი ისინი სხვადასხვა საჭირო უნარ-ჩვევებსაც გამოიმუშავებენ, რაც ცხოვრებაში მნიშვნელოვანია,“ — აცხადებს კახა კოტაშვილი.

როგორც გაზეთ „შირაქს“ დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის დირექტორმა მაია ლაპიაშვილმა აცნობა, ევრაზიის ფონდის „ახალგაზრდული ბანკის“ პროგრამის ფარგლებში გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში სკოლამ რამდენიმე პროექტი წარადგინა, რომელთაგან ერთ-ერთი — ქეთი ჩაფიაშვილის პროექტი FM 111.1 დაფინანსდა.

სკოლაში რადიოსადგურის მოწყობისა და ჟურნალისტიკა კლუბის ჩამოყალიბებისთვის გათვალისწინებული ბიუჯეტი 880 ლარს შეადგენს.

„სპორტის და ახალგაზრდების საქმე

როგორც გამოყენება გაკვეთილების დაწყება-დასრულების აღსანიშნავად და ა.შ.

როგორც პროექტის ხელმძღვანელმა, ამავე სკოლის მეთვალყურე ქეთი ჩაფიაშვილმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, სკოლამ უკვე მიიღო სასკოლო რადიოსთვის საჭირო თანამედროვე ტექნიკა, რითიც ისინი რეპორტაჟების მომზადებას და შიდა ეთერში გაშვებას შეძლებენ. საცდელი გადაცემები უკვე დაწყებულია.

მისი განმარტებით, მათ მიერ მომზადებული რადიორეპორტაჟები პირდაპირ ეთერში გაკვეთილებს შორის არსებული შესვენებების დროს გადაიცემა. ამას გარდა, პირველ სკოლაში შექმნილი ჟურნალისტიკა კლუბი რადიოს გარდა პერიოდულად სასკოლო გაზეთსაც გამოცემს. ის მოსწავლეები, რომლებიც მომავალში უპირატესობას რადიოს ნაცვლად წერას მიანიჭებენ, გაზეთის მიმართულებით იმუშავებენ.

სკოლაში მიიჩნევენ, რომ პროექტი ასევე ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ანალიტიკური აზროვნების განვითარებას და სკოლაში სასწავლო გარემოს გაუმჯობესებას.



შეზღუდული შესაძლებლობის პირების მიმართ დამოკიდებულების შესაცვლელად

ქალაქ დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლაში 3 ნოემბერს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შესახებ სემინარი გაიმართა. პროექტი დაფინანსდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის შიდასთან ბრძოლის პროგრამის მიერ და მისი ავტორები არიან პირველი სკოლის პედაგოგები კახა კოტაშვილი და ამერიკელი მოხალისე, მშვიდობის კორპუსის წარმომადგენელი ჯექ ბრენდსი. მასში მონაწილეობა დედოფლისწყაროში მცხოვრებმა დაინტერესებულმა ახალგაზრდებმა მიიღეს.

პროექტის შესახებ გაზეთ „შირაქს“ პირველი საჯარო სკოლის არასაკლასო აქტი-

ვობების მენეჯერი კახა კოტაშვილი დეტალურად ესაუბრა.

„სემინარი პროექტის „ერთად უკეთესობისკენ“ ფარგლებში გაიმართა. პროექტის მიზანია ახალგაზრდა თაობაში შეცვალოს დამოკიდებულება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ, აგრეთვე ახალგაზრდებმა გაითავისონ ის სირთულეები, რომლებსაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ყოველდღიურ ცხოვრებაში ხვდებიან. პროექტი მოიცავდა პრეზენტაციას წარმატებული შშმ-ების ცხოვრების შესახებ, აგრეთვე ინტერაქციულ თამაშებს, რათა ახალგაზრდები ჩაღრმავებოდნენ შშმ-ების იმ პრობლემებსა და ბარიერებს, რომლებსაც ისინი მუდმივად ეჯახებიან ყოველდღიურ ცხოვრებაში, ურთიერთობაში და ა.შ. ოცამდე მოზარდი ჩაერთო ამ სემინარში, საკმაოდ კარგი აქტივობა გამოიჩინეს. იყო ძალიან საინტერესო დისკუსიები და განხილვები, სხვადასხვა საფარჯიმოები... დღევანდელი

სესიის მთავარი თემა ჰიგიენა იყო. მომავალში ამ მონაწილეებმა უკვე თავად უნდა ჩაატარონ მსგავსი სახის სემინარები. აქტიური დღე იყო და მადლობა მინდა ვუთხრა თითოეულ მათგანს. კიდევ ორი სესია გაიმართება. მეორე სესიას შიდასთან დაკავშირებით ნოემბრის ბოლოს ჩვენი პარტნიორი ორგანიზაცია „თანადგომის“ ტრენერი ჩაატარებს. ხოლო, დეკემბერში ვგეგმავთ დედოფლისწყაროში ჩატარდეს შიდასთან ბრძოლის მარათონი,“ — აღნიშნა კახა კოტაშვილმა.

პროექტით კმაყოფილებას გამოხატავდა თბილისიდან სტუმრად მყოფი ტრენერიც, რომელმაც გაზეთ „შირაქსთან“ კომენტარი გააკეთა.

„ძალიან კმაყოფილი ვარ მიღებული შედეგით, რადგანაც ის ბავშვები, რომლებიც დღეს დედოფლისწყაროში დაგვხვდნენ, მართლაც აქტიურები და საღად მოაზროვნეები არიან. მაქსიმალურად ჩაერთვნენ პროცესში, რაც ჩვენი მთავარი მიზანი იყო.



ყველაფერს ხვდებოდნენ, რისი თქმაც ამ სემინარზე მათთვის მიხდოდა, ამიტომ ჩავთვლი, რომ ჩვენი მიზანი ნამდვილად მიღწეულია და საკმაოდ ნაყოფიერი შედეგად შედეგად,“ — აცხადებს ტრენერი ლიზი სრესელი.

პროექტი ხორციელდება და გრანტი მიიჭებული აქვს „Joint Civic Education Country Program“ ფარგლებში, MitOst ასოციაციის პროგრამა ოპერირებული Theodor-Heuss-Kolleg, CRISP-თან და „ირის ჯგუფი“ — მრავალფეროვნების მართვა“-სთან თანამშრომლობით. პროექტის მხარდაჭერი და პარტნიორია — საქართველოს უნივერსიტეტი.



„შაჰოსხა შაჰოფრომა დოვლათით და ხარაპით“

შემოდგომისთვის ჩვეული მზიანი დღე იყო. მირზანის სკოლის კოპნია და ლამაზი ეზო უფრო მეტად გალამაზებულიყო. დანყებითი კლასების მოსწავლეებს შემოდგომის ზეიმი ჰქონდათ. I-III-ე კლასების მოსწავლეებთან და მშობლებთან ერთად ფუსფუსებდნენ მათი მასწავლებლები ნათელა ჩიტოშვილი და ნაირა ყორიანი. მშობლებმა მასწავლებლებთან ერთად გაავსებინეს ვენახი და ჩამოვკიდეთ ყურძნები. იქვე ჩავგადეთ ქვევრი და დავდგით სანახელი. დილიდანვე გავაკეთეთ თათარა და ამოვავლეთ ჩურჩხელები. ხარისებზე დაკიდებული ლამაზი ჩურჩხელები თავს ინონებდნენ მოწვეულ სტუმრებთან. იქვე მოვანყეთ

ბაზარი, ყველანაირ ხილსა და ბოსტნულს დავადეთ ფასები. ზეიმი დაიწყო იოსებ ნონეშვილის ლექსით, რომელიც შესანიშნავად ნაიკითხა III-ე კლასის მოსწავლემ ანი გონაშვილმა, ბაზარში გამყიდველები იყვნენ I და II-ე კლასის მოსწავლეები, მყიდველები კი III-ე კლასელები. ქართული ცეკვა შეასრულეს I კლასის მოსწავლეებმა ნათია ვარდიამვილი და ბექა გონაშვილი, მესამე კლასის მოსწავლეებმა მარი ალუღიშვილი და გიორგი კოხტაშვილი. ცანგალა და გოგონა იცეკვეს ნათია ვარდიამვილი და დათუნა შოშიაშვილი, ანი გონაშვილი, ნოდარ ვარდიამვილი და ნუკრი მაისურაძემ. ჯარისკაცის მამის როლი შეას-

რულა ჯარისკაცის ფორმაში გამოწყობილი მეორე კლასის მოსწავლე გიორგი ვარდიამვილი. ის ვენახში დადიოდა და ვაზს ეფერებოდა: „შენ აქ საიდან გაჩნდი, შე ბარაქიანი შენა“... ალექსანდრე ჩიკვილაძე ასრულებდა ომში დაღუპული ვაჟკაცის მამის როლს, რომელიც ასე ემხარობდა: „...შენი ჩაყრილი ვაზი ისევ ცოცხალია, შვილო ლადო, ისიც შენ გელოდება“... მთვრალი კაცის როლი შეასრულა ბექა გონაშვილი. ის ღვინის ბოთლით ხელში ეთავყენებოდა ვაზს: „შე დაგრეხილდე როიანო, შე ყოვლის შემძლე. ხან გამაგიჟებ, ხან კი კარგ ხასიათზე მაყენებ-ხოლმე.“

ლექსს სიმღერა ცვლიდა, სიმღერას ცეკვა. ისმოდა მათი ნკრიალა ხმები. ვაზის სადღეგრძელო შესვა ნოდარ ვარდიამვილი: „ვაზია ჩემი ღვინის ღმერთი, ღვინის უფალი, ჭირნახულის თუ ჭირვარამის ჭირისუფალი...“ ზეიმის დასრულების შემდეგ ბავშვებმა ლამაზ კალათებში ყურძენი დაკრიფეს და მზიარული შეძახილებით გარბოდნენ სანახელისკენ, რომელიც დიდი ყიჟინით დაწურეს. დასასრულს, შემოდგომის ზეიმი ლევან მაისურაძემ უფლის ლოცვით დაასრულა. ბავშვები კი მამა ლევანმა დალოცა და ბედნიერება უსურვა. ღვინის ღვინის ორგანიზატორ პედაგოგებს მადლობა გადაუხადა სკოლის

დირექტორმა ალექსანდრე ნატროშვილმა. „ბავშვებს და მათ მშობლებს არასოდეს დაგვავინებდა ეს არაჩვეულებრივი დღე, დიდხანს გვემახსოვრება აქ მიღებული შთაბეჭდილებები. მშობლების სახელით გვინდა დიდი მადლობა გადავუხადოთ მასწავლებლებს: ნათელა ჩიტოშვილს, ნაირა ყორიანს და მუსიკის მასწავლებელს ინგა ნატროშვილს, რომელმაც ყველა ბავშვი ააცეკვა და აამღერა. ღმერთმა დაგლოცოთ ჩვენი შვილებისთვის უსაზღვრო სიხარულის მიწებისთვის.“

მირზანის სკოლის მოსწავლეთა მშობლები



უ ლ ო ს ა ვ ე ! დადა ჟამი მიღობისა

ნამები, წუთები, საათები, წლები უკანმოუხედავად გარბიან... თურმე რა დრო გასულა. ფიქრის, შრომის, დაუღალავი მეცადინეობისა და სრულყოფისაკენ სწრაფვის წლები... „შეჩერდი ნამო“, გულისნაღები უნდა გავიმხილო, საყვარელ ადამიანს უნდა მივეფერო, მის განვლილ ცხოვრებაზე უნდა ვილაპარაკო და სამომავლო ბილიკები დავულოცო. გულახდილად გეუბნებით, ძალზედ მიჭირს ამგვარი პიროვნების ღვაწლის სააშკარაზე გამოტანა და აღიარება, ვმომოხილო არ გამომჩრქეს, ვმომობ, თუმცა სურვილი დაუოკებელია, მითუმეტეს, როდესაც ჩემს თვალწინ წყმარაღებდა, სულით ხორცამდე პადაგოგი და თხემით ტერფამდე აღმზრდელი წარმოგიდგება, სათქმელი იოლდება, კალამი თავისით იკვლევს გზას, რადგან ყველაფერს მისი საქმენი ღვინისაა, ჩვენ კი დომილის უფლება არა გვაქვს.
მიზეზი - დაჯილდოება.
მიზანი - ჩრდილში მღვარი აღმზრდელის დაფასება, რათა „ღიდუღული აღამიანაზი შეიგლოდ არ დაიარაგოს“
სახელი-წელი;
გვარი-შობიარობი;
პროფესია - დასავსებითი კლასის პედაგოგი;
საქმიანობის სფერო-პატარა არსებების პროვინციად ჩამოყალიბება და ღირსეულად ადამიანე-

ბად აღზრდა; აღიარება-უმცროსკლასელთა დამკვიდრებისთვის ყველაზე დიდი მოსწავლეების სიყვარული; ოჯახური მდგომარეობა-მეუღლე ჯემალ ყორიანი; შვილები: ნინო, ნანა და ელზა; შვილიშვილები: ნელი ბეოს უხარია, რომ მისი შვილიშვილები ამაყობენ ასეთი ლამაზი ბებოთი. თუმცა კი, საამაყოს რა გამოუღვეს. არამარტო მისმა შთამომავლობამ, არამედ ჩვენც უნდა ვიამაყოთ ამ გამოჩენილი ქართველი დაიცით! აფერებ, თქვენს შემართებასა და შრომისუნარიანობას, ქალბატონო ნელი, თქვენი ენერჯია და ფუტკარით გარჯა ახალგაზრდასაც კი შემურდება (აქვე გამოგიტყდებით, რომ იმ „შურიანთა“ რიგებში მეც ვარ). და განა მარტო ეს თვისება თქვენში გამორჩეული და სამაგალითო, კიდევ ხასიათის ბევრი თვისება და შტრიხი გვინიშნავს თქვენს ნამონათვარს. სიკეთისა და სათნოების სრულყოფილ მაგალითად თუ ვინმეს დასახელება შეიძლება, ერთ-ერთი პირველი მათგანი თქვენა ხართ. ალბათ იმიტომ, რომ სიკეთისა და სიყვარულის მართვა არ ძალგიძო, რადგან ასეთად გავაჩინათ ღმერთმა. უფლისგან ნაბიჯებ ამ სიკეთეს ყველას დაუთვალავად გვინანილებს და თქვენ, ქართული ტოლერანტობის ღირსეული ბურჯი, ერსა თუ ბერს განურჩევლად აფრქვევთ სიყვარულს,

სიკეთესა და სილამაზეს. გულისგულიდან ამოსული სათუთი სიტყვებით გვეფერებით თვითოეული ჩვენგანს. უამრავ ლამაზ სიტყვასთან ერთად ყველას თქვენეული, განსაკუთრებული სიყვარულით უხვად გვაჯილდოვებთ. ერთი კია - თქვენ უნდა გავილოვებდეთ ყველა, რადგან ჭეშმარიტად თქვენ იმსახურებთ შექებას, თქვენს მიერ განვლილი საინტერესო და მრავლისმთქმელი გზა ელოდა აღიარებას და მანაც არ დაყოვნა - სულ ახლახან თქვენ „ღირსების ორდენით“ დაგვიჯილდოვეს.
ად მია ველორში! (ას ოც წლამდე!) - ასე ელოცავენ ღმერთის რჩეული ერის-ებრელების წარმომადგენლები უახლოეს ადამიანად, მოძღვარად დაგლოცა. მიიღეთ ეს სიტყვები ჩვენგან ძღვნად, ჩვენს საჩუქრად. მთავრობის მაღალ ჯილდოს გილოცავთ, მოძღვარად, დამრიგებელი, მასწავლებელი, გისურვებთ ბედნიერებას, უფლებს სიხარულს, ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, მზებრძოლობას, ოცნებების ასრულებას. დიდხანს იცოცხლეთ, იღვანეთ, სულში სუსხი და ბოროტება ნურასოდეს შეგპაროდეთ, ჩვენო საყვარელო ნელი მასწავლებელი!

თქვენი მოსწავლეების სახელით
ირმა აბაშვიძე

თამარ მოქალაქის მიხედვით!

ქალბატონო თამარ, გილოცავთ დაბადების დღეს! გვიხარია, რომ დღეს გამოჯანმრთელებულს გხედავთ!
თქვენ, თქვენს მეუღლესთან ერთად, ეკოლოგიურად სუფთა, „მოდებადების რძის პროდუქტების“ სანარმო შექმენით, რასაც წინ ტიტანური

და თავდაუზოგავი შრომა უძღოდა. დღეს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილი თქვენი სანარმო, პროფესიული კადრებით დაკომპლექტებული, თვალსა და გულს ახარებს. თქვენმა წარმატებულმა საქმიანობამ ჩვენს რაიონს საქვეყნოდ გაუთქვა სახელი, სწორედ ამიტომაც თითოეულ ჩვენგანს გვეამაყები და გვეიმედები.

პატივისცემით,
ილია ჭავჭავაძის სახელობის მნივნილოვანი რაიონული ორგანიზაციის სახელით: ნანა ჭიჭინაძე, პანო ნატროშვილი, ხათუნა აბლაძე, გოდერძი გონაშვილი.

ა მ ი ნ დ ი		დ ე დ ო ფ ლ ი ს ო ყ ა რ ო				
შაბათი 10. 11	კვირა 11. 11	ორშაბათი 12. 11	სამშაბათი 13. 11	ოთხშაბათი 14. 11	ხუთშაბათი 15. 11	პარასკევი 16. 11
დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე	დღე ღამე
13°	10°	13°	10°	7°	6°	5°

გამომცემელი შპს „შირაპი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილი მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებსზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მხერბიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტი); მინიალ მკვირიშვილი (სტილისტ-მწიგნობარი); ნათელა მოსაშვილი (ბუღალტერი); ნინო პანაშვილი (ფინანს-მწიგნობარი); მზია ქანჭავაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბდებოდა „შირაპის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ. პ. ს. „საარს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფრონისის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 599 25-17-44 (რედაქტორი)
რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.